PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის"მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ქ. თელავი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრი: თათია გივიშვილი

(თბილისი, 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. გივიშვილი

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს “საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეს ლ.

PDF Eraser Free

III. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 9 ნოემბრის #1203261 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - თათია გივიშვილი, დაევალა შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება. ამ მიზნით, 2021 წლის 3 დეკემბერს შედგავიზიტი შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" (მის: ქ. თელავი, ლესელიძის ქ. #1). ვიზიტამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა დღის წესრიგიდა გასაცნობად გაუგზავნა დაწესებულებას. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ხელმძღვანელს და მოდულების განმახორციელებელ პირებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და სხვა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის #576708 გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. თელავში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 88-ით. ამ წარმოების ფარგლებში შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 30 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (88 პროფესიული სტუდენტი) 30 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (118 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. ამისთვის ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის თელავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. გივიშვილი

PDF Eraser Free

განყოფილებაში ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია და სამუშაო აღწერილობები; საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა; პროგრამის განხორციელების პირობები კოლეჯში: აუდიტორიები, ადგილების რაოდენობა, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი; პროგრამის განხორციელების პირობები კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე: მათი შესაძლებლობები (განყოფილებები, პროფესიულ სტუდენტთა მიღების შესაძლებლობები, „საექთნო განათლების“ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ცოდნა).

შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ მართვის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, როგორც თბილისის, ასევე თელავის განყოფილებაში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. თელავის განყოფილების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: თელავის განყოფილების მენეჯერი, სასწავლო პროცესის სამსახურის სპეციალისტი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, დამხმარე პერსონალი (დაცვა, დამლაგებელი). საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, რომელიც დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის“ დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 5 მარტის #820 და 2021 წლის 16 აგვისტოს #3709 ბრძანებებით) განსაზღვრულია ყველა მათგანის მოვალეობები და პასუხისმგებლობები. დუკუმენტიდან ჩანს და ასევე მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი და ხარისხის მართვის სპეციალისტი ანგარიშვალდებულნი არიან თელავის განყოფილების მენეჯერის წინაშე, ხოლო მენეჯერი, თავის მხრივ, პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის წინაშე და მასთან შეთანხმებით იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. კოლეჯის საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (e-Flow).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. ჩაატარა მოკვლევა (მიზანშეწონილობის დასაბუთება) კახეთის რეგიონში. წლებია, რაც დაწესებულება ქ. თელავის განყოფილებაში ახორციელებს საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მათი განცხადებით, ამ პროგრამაზე სწავლის მსურველთა მიმართვიანობა დღემდე მაღალია. იგი განპირობებულია დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობითა და რეგიონში დასაქმებულთა სტატისტიკით. კოლეჯმა მოიკვლია გასულ წლებში (2019-2020 წ.წ.) კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, გამოიკითხა 37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

(ოცდაჩვიდმეტი) კურსდამთავრებული (ინდივიდუალური სატელეფონო გამოკითხვა თითოეულ კურსდამთავრებულთან) და გამოიკვეთა შემდეგი სურათი: 2019 წლის კურსდამთავრებულთაგან (12 პროფესიული სტუდენტი) 100% დასაქმებულია, ხოლო 2020 წლის კურსდამთავრებულთაგან (19 პროფესიული სტუდენტი) დასაქმებულია 95%. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც განაპირობა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროება, ეს არის სწორედ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. კახეთის რეგიონში თითქმის არ არსებობს სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც დასაქმებული არ არის აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებული.

მოკვლევის თანახმად, კახეთის რეგიონში 9 (ცხრა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს. აღნიშნულთაგან, საექთნო განათლების პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული არცერთს არ აქვს. ამასთანავე, ქ. თელავის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს ამ პროგრამის მიმზიდველობას მეზობელი რაიონებიდან სწავლის მსურველთათვის. აღსანიშნავია, რომ კახეთში მოქმედი 17 (ჩვიდმეტი) სამედიცინო დაწესებულებიდან 9 (ცხრა) ქ. თელავში მდებარეობს. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს რეგიონში პროფესიონალი ექთნების საჭიროებას.

2. ხელშეკრულება გააფორმა დამატებით ერთ პრაქტიკის ობიექტთან - შპს „თელავის რაიონული საავადმყოფო“, მისამართი: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ. #2. ობიექტი მზაობას გამოთქვამს მიიღოს 140 პროფესიული სტუდენტი;
3. საექთნო განათლების პროგრამის განსახორციელებლად, ქ. თელავის ფართზე კოლეჯმა დაამატა კიდევ ერთი A სასწავლო გარემო და ამჟამად სწავლებისთვის ხელმისაწვდომია სამი A გარემო: A-1 (36 ადგილი), A-2 (30 ადგილი), A-3 (34 ადგილი);
4. კოლეჯმა დამატებით გააფორმა ხელშეკრულება 9 (ცხრა) პროფესიულ მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ თითოეული პროფესიული მოდულისთვის გათვალისწინებულია მასწავლებლების ორმაგი ოდენობა, პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.

ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეს ლ.

PDF Eraser Free

IV. საუნივერსიტეტო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. 2.2.1.1 - კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე განახორციელონ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირების ტრენინგი მოდულური პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებებით; - კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირებიდან ორი ამავე კოლეჯის მასწავლებელია. შესაბამისად, მათთვის უცხო არაა პროგრამის განხორციელებისა თუ შეფასების მეთოდები. კლინიკური პრაქტიკის სხვა განმახორციელებლებისთვის კი მოხდება მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;

2. 2.2.1.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებში მითითებული ჩანაწერები შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონქვემდებარე აქტებთან: დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, მუხლი 55) განსაზღვრის საფუძვლად მითითებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ძალადაკარგული დოკუმენტიდან ამოღებული მუხლები; - შესრულებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

3. 2.2.1.2. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სამუშაო აღწერილობაში განსაზღვროს რა დრო ეთმობა ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დრო სასწავლო პროცესში, როგორც მოდულის განმახორციელებელი პირის ჩართულობას. - შესრულებულია.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეს ლ ი.

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია ამ დ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ოქტომბრის #34 ბრძანებით. ცვლილებები: 2020 წლის 19 თებერვალი #2 ბრძანება 2020 წლის 26 ივნისის #38 ბრძანება 2020 წლის 30 ივნისის #40 ბრძანება 2021 წლის 26 თებერვალი #667, #671 ბრძანება 2021 წლის 13 მარტის #916 ბრძანება 2021 წლის 14 სექტემბერი #4092 ბრძანება 2021 წლის 30 ოქტომბერი #6528 ბრძანება 2021 წლის 4 ნოემბერი #6782 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თელავი, ლესელიძის ქ. #1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეული

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	118 სტუდენტი, მოდულური, ქ. თელავი, ლესელიძის ქ. #1
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიშვილი

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიჭარლი.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განსახორციელებლად ქ. თელავის ფართზე კოლეჯის განკარგულებაშია სამი A სასწავლო გარემო (A-1 – 36 ადგილით, A-2 – 30 ადგილით, A-3 – 34 ადგილით) და B - სასწავლო გარემო (კომპიუტერული კლასი) 20 სამუშაო ადგილით.

სამივე A სასწავლო გარემოს ადგილების ჯამური ოდენობა შეადგენს 100 (ასი) ადგილს, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა კი, 30 პროფესიული სტუდენტის დამატების შემთხვევაში, ჯამში 118 (ასთვრამეტი) სტუდენტს გულისხმობს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ აპირებდა დაწესებულება A სასწავლო გარემოს დატვირთვის განაწილებას იმგვარად, რომ თეორიული მოდულები შეუფერხებლად განხორციელდეს. ამის პასუხად, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება ერთ ცვლაში. სასწავლო გეგმის თანახმად, პროგრამის თეორიული მოდულების სწავლებას წელიწადნახევარი ეთმობა, ხოლო დარჩენილ პერიოდში, პრაქტიკული სწავლება განხორციელდება კოლეჯის პრაქტიკის ობიექტებზე. წარმოადგინეს სქემა, სადაც სტუდენტთა ნაკადებისა და პრაქტიკის პერიოდების გათვალისწინებით განაწილებულია სამივე A სასწავლო გარემოს დატვირთვა იმგვარად, რომ სწავლების თანმიმდევრული განხორციელება ეჭვქვეშ არ დგას. 2020 წელს კოლეჯმა საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა განახორციელა ორ ნაკადად (დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული განპირობებული იყო კოვიდ-პანდემიური მდგომარეობით): I ნაკადი - 19 პროფესიული სტუდენტი; II ნაკადი - 34 პროფესიული სტუდენტი. 2021 წელს განხორციელდა ერთი მიღება: 36 პროფესიული სტუდენტი. შემდეგ წლებშიც მიღება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, შემდეგი ოდენობებით: 2022 წელი - 30 პროფესიული სტუდენტი (კვოტის გაზრდის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში); 2023 წელი - 54 პროფესიული სტუდენტი; 2024 წელი - 36 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაებადა კითხვები B სასწავლო გარემოს (20 ადგილი) გამოყენებასთან დაკავშირებით. მით უფრო, რომ B სასწავლო გარემო, გარდა „საექთნო განათლების“ პროგრამისა, განკუთვნილია სხვა პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

პროგრამების სწავლებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ქ. თელავში ამჟამად ავტორიზებულია 4 (ოთხი) პროფესიული პროგრამა: საექთნო განათლება, აღმზრდელი, საოფისე საქმე და საფინანსო სერვისები. მიმდინარე პროცესის ფარგლებში, კოლეჯი გეგმავს ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას, რომლის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში მას ექნება 5 (ხუთი) ავტორიზებული პროგრამა. აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე მეორე წელია ორ პროგრამაზე - საფინანსო სერვისები და საოფისე საქმე, კოლეჯი არ ახორციელებს სტუდენტების მიღებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია მოთხოვნის დაბალი დონითა და სახელმწიფო დაფინანსების არარსებობით. კოლეჯი იტოვებს ამ ორ პროფესიულ პროგრამას ავტორიზებულ რეჟიმში მხოლოდ იმის გამო, რომ ახორციელებს მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამას. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი უარს იტყვის ამ ავტორიზებული პროგრამების განხორციელებაზე, მას ავტომატურად შეეზღუდება მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების განხორციელების უფლებაც. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, B გარემოს დატვირთვა მოდის მხოლოდ სამ პროფესიულ პროგრამაზე: საექთნო განათლება, აღმზრდელი და ფარმაცია (სააფთიაქო) (ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში). B სასწავლო გარემო ამ პროგრამების ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 2 ან 3 კრედიტი (განსხვავდება პროგრამების მიხედვით). დაწესებულებამ მეტი სიცხადისთვის ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა ცხრილი. ცხრილში ნაჩვენებია, რომ B გარემოს გამტარუნარიანობა უზრუნველყოფს მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობას სასწავლო პირობებით. იმ სასწავლო კვირებში, როდესაც დატვირთულია B გარემო საექთნო განათლების სტუდენტებით, სხვა პროგრამის სტუდენტები ამ გარემოთი არ სარგებლობენ. პროფესიულ სტუდენტთა წლიურად მისაღები რაოდენობიდან გამომდინარე, B გარემოს გამტარუნარიანობის გათვალისწინებითა და მისი ოპტიმალურად გამოყენების მიზნით ხდება პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფა. იმ სასწავლო კვირებში, როდესაც B გარემო დატვირთულია აღმზრდელის და ფარმაციის სტუდენტებით, სხვა პროგრამის სტუდენტები ამ გარემოთი არ სარგებლობენ. აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კომპიუტერული კლასის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში. ასევე აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პირობებში, შესაძლებელია ინფორმაციის ტექნოლოგიის / ინფორმაციული წიგნიერების მოდულების დისტანციურად სწავლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს“ თელავში, „საექთნო განათლების“ პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 4 (ოთხი) კლინიკასთან: შპს ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა; შპს თელავის რაიონული საავადმყოფო; შპს ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი; შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი. წარმოდგენილი ხელშეკრულებები აკმაყოფილებს ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს. ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ პრაქტიკის ობიექტები, მოდულების შესაბამისად, უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩანს, რაც ასევე დადასტურდა ერთ-ერთი კლინიკის წარმომადგენელთან გასაუბრებით, რომ პარტნიორი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ პირებად გამოყონ ისეთი პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ყველა ზემოაღნიშნული პრაქტიკის ობიექტის პროფილით უზრუნველყოფილია შესაბამისი მოდულებით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ მოდულების: კლინიკური პრაქტიკა - „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ განხორციელების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომქ. თელავში მხოლოდ ახლა იგეგმება ფსიქიატრიული კლინიკის გახსნა და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. თბილისში, შპს „ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრთან“. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 90 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ერთდროულად. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ თბილისისა და თელავის პროფესიულისტუდენტები სხვადასხვა სასწავლო კვირების განმავლობაში გაივლიან აღნიშნულ ბაზაზე პრაქტიკას და არ მოხდება მათი გადაფარვა. კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კლინიკა იღებს ვალდებულებას 7 პროფესიულ სტუდენტზე გამოყოს ერთი ექთანი. იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკას ჰყავს 6 ექთანი ერთ ცვლაში, მას შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 42 სტუდენტი დღეში. წარმოდგენილი ცხრილის თანახმად, კლინიკას შეუძლია მიიღოს 6 (დღე) X 42 (სტუდენტი). შესაბამისად, კოლეჯის მიერ მოთხოვნილი 118 სტუდენტის ადგილი 3 წლის განმავლობაში სრულიად მიზანშეწონილია ამ თვალსაზრისით. ექსპერტების შეკითხვაზე, თუ როგორ მოახერხებენ ისინი ამ საკითხის ორგანიზებას, კოლეჯის მესვეურმა განმარტა, რომ ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტთა გადაადგილებას სატრანსპორტო საშუალებით და წარმოადგინეს მძღოლთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მძღოლი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირება თელავი - თბილისი - თელავის მიმართულებით საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

ხელშეკრულებას თან ახლავს მძღოლის პირადობისა და მართვის დამადასტურებელი მოწმობები, სატრანსპორტო საშუალების Mercedes Benz-ის ტექნიკური პასპორტის ასლი (16+1 ტევადობით).

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების, ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებულია 34 პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორის: ზოგადი მოდულის მასწავლებელი - 5, პროფესიული მოდულის მასწავლებელი - 29. აღსანიშნავია, რომ თითოეული პროფესიული მოდულისათვის გათვალისწინებულია მასწავლებლების ორმაგი ოდენობა,პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დამატების მიზნით, კოლეჯმა დამატებით აიყვანა 9 (ცხრა) პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტებმა გადაამოწმეს მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და გაესაუბრნენ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულთა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, ასევე მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. კოლეჯის დირექტორის განცხადებით, კვლავაც იგეგმება პროფესიული მასწავლებლების შემდგომი განვითარება ამ მიმართულებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“ ჰყავს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და მასთან გასაუბრებით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის #19 ბრძანებით (შეტანილია ცვლილებები 2021 წლის 5 მარტის #820 და 2021 წლის 16 აგვისტოს #3709 ბრძანებებით) განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები. ინტერვიუირებისას ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეს ლ.

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში
საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ექსპერტებმა გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსები და დასტურდება მათი არსებობა. ასევე, გაესაუბრნენ დაწესებულების ბიბლიოთეკარს. დაწესებულებაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულებას მიღებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის წესი, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს #3823 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 30 სექტემბრის N5021 ბრძანებით), რომლის მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პირთათვისდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა დასაჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას. მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს, იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით, უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლას-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა
კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლების სახეობაა სწავლის საფასური, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს წარმოადგენს ბიუჯეტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქივიძეული

PDF Eraser Free

გადასარიცხი წილი (3 წლის მანძილზე), პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პრაქტიკის ბაზები, მასალა და ნედლეული, დიპლომის/დანართების მომზადება, პროგრამის განვითარების ხარჯი, ტრანსპორტირების ხარჯი და მოგების წილი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- A სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის დასაბუთება;
- B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის დასაბუთება;
- კვოტის დასაბუთება;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა;
- პროგრამის პროფესიულ მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს #3823 ბრძანებით (შეტანილია ცვლილება 2021 წლის 30 სექტემბრის N5021 ბრძანებით);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეს ლ.

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

- ვიზიტის დღის წესრიგი;
- A სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის დასაბუთება;
- B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის დასაბუთება;
- კვოტის დასაბუთება.

თარიღი: 21/12/2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თ. ქავიძეული